DIMITRI UZNADZE ABOUT CARDINAL RICHELIEU

დიმიტრი უზნაძე კარდინალ რიშელიეზე

Merab Kalandadze
Doctor of historical Sciences, Professor of Ivane Jacakhishvili
Tbilisi State University.
Tbilisi, Georgia
ORCID ID: 0000-0001-6369-0721
(+955) 599521296; merab.kalandadze@tsu.ge

Abstract

According to Blaise Pascal, "Cardinal Richelieu did not want to be guessed." Indeed, when evaluating the life and work of Cardinal Richelieu, there is a difference of opinion among historians, one praising and glorifying him, while the other, on the contrary, takes a diametrically opposite position and considers Richelieu's name only in a negative context. Reaching a consensus between them will not be an easy task and this dispute will probably last a long time and will not end. Therefore, we think, therefore, we think, it will not be without interest to find out what the attitude of the Georgian scientist Dimitri Uznadze towards Cardinal Richelieu might have been. This issue has not been studied in this regard. This is a novelty, it has a Georgian context and it seems to be the first attempt to cover this issue.

The coverage of Richelieu's life and work in Georgia has its own history and covers a relatively larger section than it was thought during the Soviet years. This was a reality that, thanks to the efforts of the totalitarian Bolshevik regime, could not be seen by the general public. In 1918-1921, the interest in the life and work of Cardinal Richelieu in the Democratic Republic of Georgia acquired a popular scientific character and, above all, was reflected in the first national school textbooks of modern history. Against the background of the current Georgian reality, this was a serious step forward, and to keep it silent should not seem justified. It does not give us an adequate picture of this issue.

Our main source on this issue is the first national textbook of "New History" by Dimitri Uznadze and Ivane Gvelesiani. No other more tangible material will be found. So we have to believe in what we have. The nihilistic attitude towards this information is inappropriate.

We will try to find out two issues: 1. How informed were the authors of the textbook, Dimitri Uznadze and Ivane Gvelesiani, about the life and work of Richelieu. 2. How they valued the work of Cardinal Richelieu. It's important to find out and make the cognitive load of this section of the textbook.

From today's point of view, it should not be advisable to judge their reasoning on this topic harshly, it would be an easy way to go and we find it hypercritical. Strict scientific criteria are not measurable here. They faced a much more modest task. This is a school textbook. It has a purely cognitive load. The authors of this cultural mission guide can not be misunderstood. The main thing, that's it. The importance of their discussion on this topic, we think, should lie in this. This material

would help the Georgian society, first of all, what kind of hair it needs, the student youth and would help to form a general idea about this issue. This minimum information was fully in line with the requirements of the textbook.

The authors of the textbook, Dimitri Uznadze and Ivane Gvelesiani, should have seemed quite informed and had an insight into Richelieu's activities. Underline its key moments. This, obviously, is not very good, it is not accidental and it appears as a logical result of empirical, factual, knowledge of the material. A positive assessment of Cardinal Richelieu's work should be perfectly legitimate. Undoubtedly, it contains a rational grain of truth, and is another plus of their reasoning on this subject. They must have been well aware of the progressive historical significance of Richelieu's work. This must have been due to two circumstances. The successes of Richelieu's policies and the fact that they were well aware of the importance of the role of the individual in history.

Further refinement of some issues, in our opinion, should not be ruled out, first of all we consider such a low assessment of the personality of Louis XIII. A sense of inadequacy was reflected in the coverage of Cardinal Richelieu's foreign policy.

Key words: Uznadze, Richelieu, Historiography, Textbook.

მერაბ კალანდაძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
თბილისი, საქართველო.
ORCID ID: 0000-0001-6369-0721
(+955)599521296; merab.kalandadze@tsu.ge

აბსტრაქტი

ბლეზ პასკალის თქმით, „კარდინალი რიშელიე არ ისურვებდა გამოცნობილი ყოფილიყო". მართლაც, კარდინალ რიშელიეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის შეფასებისას ისტორიკოსებს შორის აზრთა სხვადასხვაობაა, ერთნი აქებს და ადიდებს მას, მეორენი კი, პირიქით, დიამეტრალურად საპირისპირო პოზიციას იკავებს და რიშელიეს სახელს მხოლოდ უარყოფით კონტექსტში განიხილავს. მათ შორის კონსენსუსის მიღწევა იოლი საქმე არ იქნება და ეს დავა, ალბათ, დიდხანს გაგრძელდება და არ დასრულდება. ამიტომ, ვფიქრობთ, ინტერეს მოკლებული არ იქნება იმის გარკვევა, თუ როგორი შეიძლება ყოფილიყო ქართველი მეცნიერის დიმიტრი უზნაძის დამოკიდებულება კარდინალ რიშელიეს მოღვაწეობისადმი. ეს საკითხი ამ კუთხით არ არის შესწავლილი. ეს სიახლეა, მას აქვს ქართული კონტექსტი და ამ საკითხის გაშუქების პირველი მცდელობაა.

საქართველოში რიშელიეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის გაშუქებას თავისი ისტორია აქვს და შედარებით უფრო დიდ მონაკვეთს მოიცავს, ვიდრე საბჭოთა წლებში ეგონათ. ეს იყო რეალობა, რომელსაც, ტოტალიტარული ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევის წყალობით, ფართო საზოგადოება ვერ ხედავდა. 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში

კარდინალ რიშელიეს ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი ინტერესმა სამეცნიერო პოპულარული ხასიათი შეიძინა და, უპირველეს ყოვლისა, აისახა ახალი ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში. იმდროინდელი ქართული რეალობის ფონზე, ეს იყო სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი და მისი მიჩუმათება გამართლებული არ უნდა ჩანდეს. ეს არ გვაძლევს ამ საკითხის ადეკვატურ სურათს.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს გამოარკვიოს როგორ იყო გაშუქებული დიმიტრი უზნაძისა და ივანე გველესიანის „ახალი ისტორიის" პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოში კარდინალ რიშელიეს მოღვაწეობა. მიუთითებს მის შუქ-ჩრდილებს და ცდილობს ახსნას მისი გამომწვევი მიზეზები.

ჩვენი მთავარი წყარო ამ საკითხთან დაკავშირებით არის დიმიტრი უზნაძისა და ივანე გველესიანის „ახალი ისტორიისა" პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელო. სხვა უფრო ხელშესახები მასალა არ მოიძებნება. ასე რომ, ჩვენ უნდა დავჯერდეთ იმას, რაც გვაქვს. ამ ინფორმაციისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება უადგილოა.

ვეცდებით გავარკვიოთ ორი საკითხი: 1. რამდენად ინფორმირებულები იყვნენ სახელმძღვანელოს ავტორები დიმიტრი უზნაძე და ივანე გველესიანი რიშელიეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. 2. როგორ აფასებდნენ კარდინალ რიშელიეს მოღვაწეობას.

დღევანდელი გადმოსახედიდან მათი განსჯა მიზანშეწონილი არ უნდა იყოს, ადვილი გზით სიარული იქნებოდა და ჰიპერკრიტიკულად მიგვაჩნია. მკაცრი მკაცრი მეცნიერული კრიტერიუმი აქ საზომად არ გამოდგება. ისინი ბევრად უფრო მოკრძალებული ამოცანის წინაშე იდგნენ. ეს არის სკოლის სახელმძღვანელო. მას აქვს წმინდა შემეცნებითი დატვირთვა. ამ კულტურტრეგერულ მისიას სახელმძღვანელოს ავტორებმა შეიძლება ითქვას, რომ ურიგოდ როდი გაართვეს თავი. მთავარი, ეს არის. ამ თემაზე მათი განხილვის მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ ამაში უნდა მდგომარდეობდეს. ეს მასალა დაეხმარება ქართულ საზოგადოებას, პირველ რიგში, სტუდენტ ახალგაზრდობას და ამ საკითხზე ზოგადი წარმოდგენის ჩამოყალიბებაში.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთს პლუსები გაცილებით უფრო მეტი გააჩნია ვიდრე მინუსები, ისინი რიშელიეს მოღვაწეობაში საკმაოდ ჩახედულები უნდა ჩანდნენ, რაც ემპირული, ფაქტობრივი მასალის ცოდნის და რიშელიეს მოღვაწეობის დადებითი შეფასებით შეიძლება ყოფილიყო გამოწვეული. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და ამ თემაზე მათი მსჯელობის კიდევ ერთი პლუსია. საკითხისადმი ამგვარი დამოკიდებულება ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა და სავსებით შეესატყვეზოდა იმ პერიოდის ისტორიული მეცნიერების მკაცრ მოთხოვნებს. მასში ევროპული, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, რუსული ისტორიოგრაფიის გამოძახილი უნდა დავინახოთ.

ზოგიერთი საკითხის შემდგომი სრულყოფა, დახვეწა, ჩვენი აზრით, გამორიცხული არ უნდა იქნას. პირველ ყოვლისა ასეთად მიგვაჩნია ლუი XIII მმართველობისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულება და რიშელიეს საგარეო პოლიტიკის გაშუქება. ეს საკითხი არ იმსახურებდა ასეთ ცოტა ყურადღებას და ადგილს.

საკვანძო სიტყვები: უზნაძე, რიშელიე, ისტორიოგრაფია, სახელმძღვანელოები.

შესავალი

ნებისმიერ საუკუნეს განასახიერებენ ადამიანები. განსაკუთრებით გამოჩენილი პიროვნებები. ინგლისელი ისტორიკოსის არნოლდ ტოინბის თქმით ეს „შემოქმედებითი უმცირესობა“. (Ивонина, 2007: 6)

„ჩვენი ქვეყნის ისტორიაში არიან ისეთი ადამიანები, რომელთა ცხოვრება სიკვდილის შემდეგაც არაფრით არ ჩამოუვარდება მათ რეალურ ცხოვრებას

... რიშელიე ერთ-ერთი მათგანი იყო“. - წერდა ფრანგი ისტორიკოსი გუსტავ ფანიეზი (Люблинская, 1982: 3). პროფ. ბორის პორშნევის თქმით „კარდინალი რიშელიე იყო უდიდესი სახელმწიფო მოღვაწე. აბსოლუტური მონარქიის თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი“ (Поршнев, 1948: 616). „რიშელიეს ისტორიული როლი მჭიდროდაა დაკავშირებული აბსოლუტიზმის პროგრესული ფორმის დამყარებასთან. მან ხელი შეუწყო საფრანგეთის გადაქცევას კლასიკური ფეოდალიზმის ქვეყნიდან, არა ნაკლები კლასიკური აბსოლუტიზმის ქვეყანად“ (Люблинская, 1982: 3). ცნობილი რუსი ისტორიკოსი პროფ. ნიკოლოზ კარეევი აღნიშნავდა, რომ „ფრანგული აბსოლუტიზმის ისტორიაში კარდინალ რიშელიეს განსაკუთრებული როლი მდგომარეობს იმაში, რომ მან შექმნა ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოები, რომლის საშუალებითაც სამეფო ხელისუფლებას შეეძლო განუწყვეტელი და წარმატებული ფუნქციონირება“ (Кареев, 1908: 81). კარდინალ რიშელიეს საქმიანობით აღფრთოვანებული დარტანიანი ვერ ფარავდა თავის ემოციებს და აღნიშნავდა „მისი უწმინდესობა კარდინალი დე რიშელიე, ეტყობა, იყო ერთ-ერთი ყველაზე უფრო დიდი ადამიანი, რომელიც ოდესმე არსებობდა არა მარტო საფრანგეთში, არამედ მთელს ევროპაში“ (Мемуары, 1995: 105). აი რას წერდა რიშელიეს მოღვაწეობაზე მისი რუსი ბიოგრაფი ვ. რანცოვი. „კარდინალ რიშელიეს სახელთან ასოცირდება საფრანგეთში აბსოლუტიზმის დამყარება. ჰუგენოტთა პარტიის განადგურება. ესპანეთ-ავსტრიის და პაპის ჰეგემონიის ლიკვიდაცია, რომელიც მთელს დასავლეთ ევროპას ემუქრებოდა ინკვიზიციის გავრცელებით. ამიტომ ისტორიამ უნდა აღიაროს, რომ კარდინალ რიშელიემ დიდი სამსახური გაუწია ცივილიზაციას“ (Ранцов, 1893: 8). რიშელიეს ერთ-ერთმა საუკეთესო ფრანგმა ბიოგრაფმა გაბრიელ ანოტომ ძალიან კარგად შენიშნა „უკეთესი იქნებოდა კარგად გავიგოთ ის, რაც მან გააკეთა, ვიდრე უბრალო გართობა თუ რა უნდა გაეკეთებინა მას“ (Ганото, 1903: 193-207). „რიშელიეს დიპლომატიის წარმატებებმა მოუმზადა ნიადაგი საფრანგეთის შემდგომ ჰეგემონიას ევროპაში და დიდების შარავანდედით შეამკო მისი სახელი“ (Люблинская, 1946: 112). ფრანგი ისტორიკოსის ემილ ბურჟუას თქმით „რიშელიემ თავისი საგარეო პოლიტიკით წერტილი დაუსვა კარლოს V და ფილიპე II კათოლიკურ იმპერიას“ (Борисов, 2002: 35). ამიტომ, ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ იქნებოდა გამოვარკვიოთ თუ როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო დიმიტრი უზნაძის დამოკიდებულება კარდინალ რიშელიეს მოღვაწეობისადმი.

ამ კუთხით საკითხის გაშუქებას აინტერესოადააქტუალურადმიგვ აჩნია. მას ორი ასპექტი გააჩნია. 1. ის საშუალებას გვაძლევს მეცნიერულად, არგუმენტირებულად, გავაბათილოთ საქართველოში კარდინალ რიშელიეს მოღვაწეობის გაშუქების საკითხში საბჭოთა წარმოდგენა და 2. კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგით წინ ისტორიულ მეცნიერებაში დიმიტრი უზნაძის საქმიანობის შესწავლის გზაზე. გამოვარკვიოთ მის სახელმძღვანელოში გაშუქებული კიდევ ერთი თემა.

ამ კუთხით საკითხის გაშუქებას ორი მხარე გააჩნია: ზოგადი კარ-დინალ რიშელიეს მოღვაწეობის შესწავლა ქართულ ისტორიოგრაფიაში და კონკრეტული. დიმიტრი უზნაძის დამოკიდებულება კარდინალ რი-შელიესადმი. ეს პირველი თემის ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტია.

მეთოდი

ნაშრომი ეფუძნება ისტორიოგრაფიული კვლევის მეთოდს, რო-მელიც ითვალსიწინებს საისტორიო მეცნიერების შესწავლას ეპოქის შე-საბამისი გამოწვევების გათვალისწინებით, რაც საშუალებას გვაძლევს, შეძლებისდაგვარად სრულად და ობიექურად გავიაზროთ კონკრეტული საკითხის ისტორიოგრაფიული შესწავლა.

შედეგები

ნაშრომში წარმოდგენილია ცნობილი ფრანგი პოლიტიკური მოღვაწისა და დიპლომატის კარდინალ რიშელიეს მოღვაწეობის შესწავლა ქართულ ისტორიოგრაფიაში, ჩვენი კვლევა ფოკუსირებულია დიმიტრი უზნაძის შეხედულებების გაანალიზებაზე, რის შედეგადაც მიღებულია დასკვნა, რომ კარდინალ რიშელიეს მოღვაწეობის შესწავლა-პოპულარიზაცია ქართულ ისტორიოგრაფიაში დაიწყო არა საბჭოთა საქართველოში, როგორც ამას წლების მანძილზე გვასწავლიდნენ, არამედ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს 1918-21 წლებში. ამ პროცესში თავისი წვლილი შეიტანა ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა დიმიტრი უზნაძემ.

მსჯელობა

დავიწყოთ პირველით. კარდინალ რიშელიეს მოღვაწეობის შესწავლა საქართველოში. საკითხი არის საინტერესო და აქტუალური, ამ კუთხით საკითხის განხილვა სიახლეს წარმოადგენს. ქართული კონტექსტი გააჩნია და აღნიშნული თემის გაშუქების პირველ მცდელობად გვევლინება. მას მკვეთრად გამოკვეთილი პოლემისტური მუხტი გააჩნია და მიზნად ისახავს საბჭოთა წარმოდგენის რევიზიას. ეს ტენდენცია ლაიტმოტივად გასდევს მთელს ნაშრომს.

აღნიშნულ საკითხზე საბჭოთა წარმოდგენა იყო უაღრესად ცალმხრივი, ძალზე ტენდენციური და ყოველგვარ მეცნიერულ საფუძველსაა მოკ-ლებული. ძირშივე მცდარია. ძალზე ხისტად მიგვაჩნია და, ალბათ, რაც ყველაზე მთავარია ანტიეროვნული და არაპატრიოტულია. აი ეს გახლავთ რეალობა, რომლის არც შელამაზებულად, ვარდისფერებში წარმოჩენა, ან გამუქება მიზანშეწონილი არ იქნებოდა, ჭეშმარიტება, როგორც წესი,

სადღაც შუაში ძევს. წინამდებარე ნაშრომი ამ საშუალედო ხაზის მოძიების ერთ- ერთი მოკრძალებული მცდელობაა.

ჩვენ შევიმუშავეთ საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის სრულიად სხვაგვარი მიდგომა, სულ სხვა აქცენტები დავსვით. სულ სხვა პრიორიტეტებიდავსახეთ.სულსხვაფასეულობებიწამოვწიეთწინ,რომელიც პრინციპულად განსხვავდებოდა საბჭოთა წარმოდგენისაგან. მის მთავარ თეზად ამ სფეროში წინამორბედების წვლილის რეანიმაცია, რეაბილიტაცია, დავსახეთ, რომლის მიჩქმალვას, მიჩუმათებას, საბჭოთა წლებში სრულიად ამაოდ ცდილობდნენ. წინამორბედების წვლილის გაბიაბრუების ხარჯზე ხდებოდა საბჭოთა რეალობის განდიდება. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა. განსხვავებული მიდგომა გადავწყვიტეთ გაგვევრცელებინა მსოფლიო ისტორიის ცალკეულ დარგებზე, აქტუალურ პრობლემებზე, გამოჩენილ პიროვნებებზე. ამჯერად საუბარი გვექნება კარდინალ რიშელიეს მოღვაწეობის შესწავლაზე საქართველოში.

განსხვავებული ხედვის მთავარ წყაროს 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამოსული ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები წარმოადგენს. საქართველოში კარდინალ რიშელიეს მოღვაწეობის დაინტერესების დაწყება საქართველოს გასაბჭოებით 1921 წელს დაგვიანებულად მიგვაჩნია. მან თავისი პირველი ნაბიჯები ჯერ კიდევ 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში გადადგა. ამ ხანებში გამოსული „ახალი ისტორიის" პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. ამიტომ, ამ მონაკვეთის ელიმინირება, ამოღება, ამ დარგის, კონკრეტულად კი, ამ საკთხის შესწავლის ისტორიიდან, მიზანშეწონილი არ იქნებოდა და აღნიშნულ საკითხზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ ჩამოგვიყალიბებდა. ეს მონაკვეთი პირობით საქართველოში კარდინალ რიშელიეს მოღვაწეობით დაინტერესების პირველ პერიოდად შეიძლება იქნას მოაზრებული.

როგორც ირკვევა, საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიას ამ საკითხის შესწავლა, პოპულარიზაცია, ცარიელ ნიადაგზე, ნულიდან, კი არ დაუწყია, როგორც ამას ხაზს უსვამდნენ საბჭოთა ხანაში, არამედ კარგად შემზადებული ნიადაგი დახვდა, რომლის უარყოფას ამაოდ ცდილობდნენ. უმთავრესად, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით საქართველოში კარდინალ რიშელიეს ცხოვრების და მოღვაწეობის გაშუქების საერთო სურათი და პერიოდიზაცია, გამრუდებული იქნა, ის აშკარად ცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული უძევს საფუძვლად. ის პირობით სამ პერიოდად შეიძლება დაიყოს:

1. კარდინალ რიშელიეს მოღვაწეობით დაინტერესება 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში;

2. კარდინალ რიშელიეს მოღვაწეობის შესწავლა, პოპულარიზაცია, საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში (1921-1991);

3. კარდინალ რიშელიეს ცხოვრების და მოღვაწეობის გაშუქება პოსტ-საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში. ის დაიწყო 90-იანი

წლების დასაწყისში, როდესაც დაიშალა საბჭოთა კავშირი და დღესაც გრძელდება.

ვფიქრობთ, არსებობს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ თავდაპირველად ქართული ისტორიოგრაფია კარდინალ რიშელიეს მოღვაწეობის შეფასებისას სწორი, მეცნიერული, გზით მიდიოდა. სწორი ვექტორი უნდა ჰქონოდა დასახული, სწორ აქცენტებს სვამდა, სწორ არჩევანს აკეთებდა. უწინარესად, ეს იმით გამოიხატებოდა, რომ პრიორიტეტული იყო თავისუფალი აზროვნება, ისტორიული მოვლენებისადმი მრავალვარიანტული მიდგომა, პლურალიზმი, პროგრესულ-ლიბერალური ღირებულებები. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს საკითხისადმი მეცნიერულ მიდგომასთან, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. ამგვარი და_ მოკიდებულება, რა თქმა უნდა, ცარიელ ნიადაგზე არ წარმოშობილა და მასში 1918-1921 წლებში საქართველოს რესპუბლიკაში არსებული დემოკრატიული გარემოს გამოძახილს ვხედავთ. რიშელიეს საქმიანობის დადებითი შეფასება, ვფიქრობთ, შემთხვევით არ იყო და, უმთავრესად ორი გარემოებით შეიძლება ყოფილიყო განპირობებული. მათ კარგად უნდა ჰქონოდათ გაცნობიერებული კარდინალ რიშელიეს პოლიტიკის ისტორიული მნიშვნელობა, სეპარატისტული ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში და ისტორიაში პიროვნების როლი.

საქართველოში ახალი ისტორიის, სახელდობრ, კარდინალ რიშელიეს მოღვაწეობით დაინტერესება შეუქცევად ხასიათს იძენს არა საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, როგორც ამას გვიმტკიცებდნენ საბჭოთა წლებში, არამედ გაცილებით უფრო ადრე, ჯერ კიდევ 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ამ წლებში გამოსული ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. ამ დარგში და ამ საკითხში თვისებრივ, ხარისხობრივ, ცვლილებებს ადგილი აქვს, არა საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, როგორც ეს მიღებული იყო, არამედ გაცილებით უფრო ადრე. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში განხორციელებულ პირველ ღონისძიებებში. დაიწყო მუშაობა ახალი ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე.

აქვე უნდა დავძინოთ, რომ ამ ნოვაციების, სიახლეების, მნიშვ- ნელობის გადაჭარბება, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია. საქმე გვაქვს მის კონ- ტურებთან, წანამძღვრებთან, სიმპტომებთან, პირველ ნიშნებთან, იკვე- თება საქართველოში ამ დარგის და კონკრეტულად, აღნიშნული საკითხის, გაშუქების, წინაპირობა. ყველაფერი ეს კი, ვფიქრობთ, საკმაოდ გამ- ჭვირვალე უნდა იყოს და, ჩვენი აზრით, ამის უგულებელყოფა სწორი არ იქნებოდა. ამ მონაკვეთის მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს. ამას აქვს მნიშვნელობა. ქართულ ისტორიგრაფიას სწორი გზა უნდა ჰქონოდა არჩეული. ეს იყო, მთავარი.

ამ დარგის და აღნიშნული საკითხის ევოლუცია, ვფიქრობთ, სულაც არ ატარებდა ისეთ სწორხაზოვან, ერთგვაროვან, ხასიათს, როგორც ეს საბჭოთა წლებში ჩანდა. ის უფრო სპირალისებურ, ზიგზაგისებურ, ხასიათს ატარებდა. როგორც უკვე ითქვა, თავდაპირველად პრიორიტეტული იყო თავისუფალი

აზროვნება, ისტორიული მოვლენებისადმი მრავალვარიანტული მიდგომა, პლურალიზმი, პროგრესულ-ლიბერალური ღირებულებები. რიშელიეს მოღვაწეობის დადებითი შეფასება, საბჭოთა პერიოდში ჩაანაცვლა რიშელიესადმი უფრო ხისტმა მიდგომამ, რომლის ერთ-ერთი მიზეზი ისტორიაში პიროვნების როლის შეუფასებლობა იყო.

აღსანიშნავია, რომ ეს განსხვავება ყველაზე უფრო რელიეფურად მჟღავნდება პერიოდიზაციის საკითხში. თუ გასაბჭოებამდე ქართული ისტორიოგრაფია კარდინალ რიშელიეს მოღვაწეობას, სავსებით სამართლიანად მოიაზრებს ახალ ისტორიაში. საბჭოთა ისტორიოგრფაიამ, სტალინური პერიოდიზაციის თანახმად, შეცდომით შუა საუკუნეების ისტორიაში მიუჩინა ადგილი. პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულმა ისტორიოგრაფიამ ეს შეუსაბამობა გაასწორა. აქცენტი კეთდება რიშელიეს საქმიანობის პოზიტიურ მნიშვნელობაზე.

არსებობდა დიდი ალბათობა, რომ თუ არა პოლიტიკური ქარტეხილები ქართულ ისტიორიგრაფია დაწყებულ საქმეს ბოლომდე მიიყვანდა. სკოლის სახელმძღვანელოს დაწერა მათი ჩანაფიქრის მხოლოდ ერთი ნაწილი იყო. მოსალოდნელი იყო, რომ ამას ექნებოდა გაგრძელება და დაიწერებოდა ახალი ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო. ეს მათი ჩანაფიქრის მეორე ნაწილი იქნებოდა და ბოლოს მესამე ნაწილი, რომელიც მათი ჩანაფიქრის დასკვნითი აკორდი იქნებოდა. ითვალისწინებდა კარდინალ რიშელიეს მოღვაწეობის პოპულარიზაციის და მეცნიერული შესწავლის ფართოდ გაშლას, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ მოხდა. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მოვლენები სულ სხვა სცენარის მიხედვით წარიმართა, რომელიც, როგორც მრავალგზის აღგვინიშნავს. თავდაპირველი გზის გაგრძელებად, წინგადადგმულ ნაბიჯად, ძნელია მივიჩნიოთ. ჩვენი აზრით, საქართველოში კარდინალ რიშელიეს მოღვაწეობის გაშუქება აღნიშნული პრობლემის პოპულარიზაციის და მეცნიერული კვლევის შერწყმის, შეხამების, მცდელობად შეიძლება მივიჩნიოთ. ამ დაინტერესების კულმინაციად, პიკად გვევლინება პროფ. გივი ჟორდანიას სოლიდური მონოგრაფია „რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობა XVI საუკუნის მიწურულს და XVII საუკუნის პირველ ნახევარში“.აღნიშნული საკითხისადმი წმინდა პრაქტიკული, პრაგმატული, დამოკიდებულება ამ თემისადმი ქართული ისტორიოგრაფიის მიდგომის მთავარ ღირსებად მიგვაჩნია. ამ საკითხს ეხება პროფ. ივანე მენთეშაშვილის სამეცნიერო-პოპულარული მონოგრაფია რიშელიეზე.

1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში კარდინალ რიშელიეს ცხოვრებით და მოღვაწეობით დაინტერესებამ სამეცნიერო პოპულარული ხასიათი შეიძინა და, უმთავრესად, ამ წლებში გამოსულ ახალი ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში მოასწრო ასახვა. რა თქმა უნდა, ეს არ იყო პატარა საქმე და ამის უგულებელყოფა უმართებულო უნდა იყოს. ეს იმდროინდელი ქართული რეალობის ფონზე წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა და საქართველოში კარდინალ რიშელის ცხოვრებისა და მოღვაწეობით დაინტერესების პირველ თუ არა ერთ-ერთ პირველ მცდელობად გვევლინება. მისი მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს.

***

ჩვენს მთავარ წყაროს, რა თქმა უნდა, წარმოადგენს დიმიტრი უზნაძის და ივანე გველესიანის „ახალი ისტორიის“ პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელო. აქ ისინი, ბუნებრივია, შეეხებიან კარდინალ რიშელიეს ცხოვრებას და მღვაწეობას. ეს ასეც უნდა იყოს. რა თქმა უნდა, ეს ძალიან ცოტაა და საკმარისი არ უნდა იყოს, მაგრამ სხვა მასალა არ გაგვაჩნია და იმ ინფორმაციას უნდა დავჯერდეთ, რაც ხელთ გვაქვს. ამ მწირი ინფორმაციის შეუფასებლობა მიზანშეწონილი არ იქნებოდა და ამ მასალის მნიშვნელობაზე ადეკვატურ წარმოდგენას როდი გვიყალიბებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ისეთ პატარა ქვეყანას, როგორიც საქართველოა ამ მცირე მასალის წაყრუების ფუფუნება არ გააჩნია და ყველა ასეთ ინფორმაციას თვალისჩინივით უნდა მოფრთხილება (უზნაძე, გველესიანი, 1920: 130-134).

საკითხს გააჩნია ორი მხარე. კონცეპტუალური, როგორი შეიძლება ყოფილიყო სახელმძღვანელოს ავტორების დამოკიდებულება კარდინალ რიშელიეს მოღვაწეობისადმი და ემპირული, ფაქტოლოგიური, რამდენად ჩახედულებას ამჟღავნებდნენ კარდინალ რიშელიეს საქმიანობაში. ამ კუთხით საკითხის გაშუქება საინტერესოა და აქტუალურად მიგვაჩნია.

აქ საზომად მკაცრი მეცნიერული კრიტერიუმი არ გამოგვადგება. უბრალოდ ეს სკოლის სახელმძღვანელოა. ავტორების წინაშე მეტად მოკრძალებული ამოცანა იდგა. ამ მსჯელობას წმინდა შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია და კარდინალ რიშელიეს მოღვაწეობის პოპულარიზაციას ითვალისწინებდა. ამ კულტურტრეგერულ მისიას, შეიძლება ითქვას, რომ ავტორებმა ურიგოდ როდი გაართვეს თავი. ეს მათი წარმატება იყო. მთავარი, სწორედ, ეს არის.

დღევანდელი გადასახედიდან მათი მსჯელობის მკაცრად განსჯა მიზანშეწონილი არ უნდა იყოს, ადვილი გზით სიარული იქნებოდა და ჰიპერკრიტიკულად მიგვაჩნია. ეს მსჯელობა ქართულ საზოგადოებას, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, მოსწავლე ახალგაზრდობას, კარგად დააკვალიანებდა და ამ თემაზე ზოგადი წარმოდგენის ჩამოყალიბებაში დაეხმარებოდა. მიანიშნებდა, რომ რიშელიე სულაც არ იყო ისეთი ტირანი, დესპოტი, მონსტრი, როგორც ამას გვიხატავდნენ ფრანგული რომანტიზმის კორიფეები. (ალექსანდრე დიუმა, ვიქტორ ჰიუგო და ალფრედ დე ვინი). ამას შემეცნებითი დატვირთვა გააჩნდა, ყველაფერი ეს იმჟამინდელი ქართული რეალობის ფონზე წინგადადგმული ნაბიჯი იყო და ქართულ სინამდვილეში კარდინალ რიშელიეს ცხოვრების და მოღვაწეობის გაშუქების პირველ თუ არა ერთ-ერთ პირველ მცდელობად გვევლინება. ამ მასალისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება უადგილოა, ეს მინიმალური ინფორმაცია სავსებით აკმაყოფილებდა სკოლის სახელმძღვანელოს მოთხოვნებს.

ფაქტობრივად, საქმე გვაქვს კარდინალ რიშელიეს მოღვაწეობის საინტერესო მიმოხილვასთან. ზოგადად არის საუბარი რიშელიეს მოღვაწეობაზე. პირველ ყოვლისა ხაზი უნდა გაუსვათ სახელმძღვანელოს ავტორების დიმიტრი უზნაძის და ივანე გველესიანის ინფორმირებულობას. ისინი საკითხში საკმაოდ ჩახედულებას ამჟღავნებენ. რიშელიეს მოღვაწეობის საკვანძო საკითხებში ასეთი ინფორმირებულობა გასაკვირი არ უნდა იყოს

და ფაქტობრივი, ემპირული, მასალის ცოდნის გამოძახილია. ეს ამ თემაზე მათი მსჯელობის პლუსია. აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ერთი გარემოება. ჩვენი ფრთხილი ვარაუდით, მათ რიშელიეს მოღვაწეობაზე იმაზე გაცილებით უფრო მეტი უნდა იცოდნენ, ვიდრე ეს სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთიდან შეიძლება ჩანდეს. ეს ამ თემაზე მათი ცოდნის მხოლოდ ერთ პატარა ფრაგმენტად მიგვაჩნია, რომელიც, მათი აზრით, შეესატყვისებოდა სკოლის სახელმძღვანელოს მოთხოვნებს.

მეორე საინტერესო საკითხია როგორ უყურებდნენ სახელმძღვანელოს ავტორები კარდინალ რიშელიეს მოღვაწეობას? ვფიქრობთ, ეს საინტერესო უნდა იყოს, რიშელიეს მომხრეებს თუ მოწინააღმდეგეებს შორის შეიძლება მოვიაზროთ ისინი? სახელმძღვანელო არ წარმოადგენს ფაქტების მშრალ თხრობას. ის არაა ფაქტების უბრალო გროვა. ასეთი სახელმძღვანელო საინტერსო არ იქნებოდა.ამ მსჯელობას თან ახლავს შეფასებითი მუხტი, რომელიც საშუალებას გვაძლევს ვცადოთ გამოვარკვიოთ თუ როგორი შეიძლება ყოფილიყო მათი დამოკიდებულება კარდინალ რიშელიესადმი. ეს ამ თემაზე მათ მსჯელობას ისტორიგორაფიულ დატვირთვას სძენს. ეს კი საინტერესო რაკურსია, რომელიც მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს. სახელმძღვანელოს ავტორები იზიარებდნენ სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულ მოსაზრებას და რიშელიეს საქმიანობას დადებითად ეკიდებიან. მათ კარგად უნდა ჰქონოდათ გაცნობიერებული რიშელიეს პოლიტიკის პროგრესული მნიშვნელობა, სეპარატისტული ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში. მათი სიმპათია სულ მთლიანად ცენტრალური ხელისუფლებისაკენ უნდა იხრებოდეს, რომლის წარმომადგენელი ბრძანდებოდა კარდინალი. რიშელიესადმი კეთილგანწყობილი დამოკიდებულება ამის ლოგიკური შედეგია. ამგვარი მიდგომა, ვფიქრობთ, სავსებით შეესატყვისებოდა XX საუკუნის დასაწყისის ისტორიული მეცნიერების მკაცრ მოთხოვნებს და ევროპული, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, რუსული ისტორიოგრაფიის, გამოძახილია. „მინისტრი კარდინალი“ პრიორიტეტულია „ბოროტ კარდინალზე“. ისტორიული რიშელიე არ ჰგავს ლიტერატურულს.

აქ არ შეინიშნება რიშელიეს მოღვწაეობის მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება, რასაც საძირკველი ჯერ კიდევ თანამედროვეებმა ჩაუყარეს (Таллеман де Рео, 1974: 63-110). ის თავის პიკს აღწევს XIX საუკუნის პირველი ნახევრის სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში (ალექსანდრე დიუმა, ვიქტორ ჰიუგო, ალფრედ დე ვინი), მისი გამოძახილი გვხვდება XIX საუკუნის დასაწყისის ფრანგულ რომანტიკულ ისტორიოგრაფიაში (ჟიულ მიშლე). ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ რიშელიეს მოღვაწეობის დადებით შეფასებას სახელმძღვანელოს ავტორები დიმიტრი უზნაძე და ივანე გველესიანი არ მიყავს რიშელიეს განდიდებამდე, აპოლოგიამდე. სახელმძღვანელოს ეს ფურცლები არ წარმოადგენს რიშელიეს მოღვაწეობის პანეგერიკს. ეს, ცხადია, ძალიან კარგია, და ამ თემაზე მათი მსჯელობის კიდევ ერთი დადებით მხარეა. რიშელიეს განდიდებას საფუძველი უკვე თანამედროვეებმა ჩაუყარეს. (Мемуары, 1995: 138-139, Ларошфуко, 1971: 20-21). და თავის პიკს, ზენიტს აღწევს ფრანგი ისტორიკოსის გაბრიელ ანოტოს

შრომებში (Ганото, 1903) აი ასეთი გახლავთ ისტორიოგრაფიული ტრადიცია (Люблинская, 1946: 12)

დიმიტრი უზნაძის და ივანე გველესიანის მიერ კარდინალ რიშელიეს მოღვაწეობის დადებითი შეფასება, ცხადია, შემთხვევითი არაა და მარტო კარდინალ რიშელიეს პოლიტიკური წარმატებებით არ უნდა ყოფილიყო გამოწვეული. ეს შეიძლება ერთი მიზეზი ყოფილიყო. იყო სხვა მიზეზებიც. საქმე ისაა, რომ ამას გააჩნდა თავისი მტკიცე თეორიული საფუძველი, რომლის გვერდის ავლა, ჩვენი აზრით, სწორი არ იქნებოდა, მათ კარგად უნდა ჰქონოდათ გაცნობიერებული ისტორიაში პიროვნების როლი. ამჯერად მათი ყურადღების ცენტრში რიშელიეს მოღვაწეობა აღმოჩნდა. ეს ამ თემაზე მათი მსჯელობის კიდევ ერთი პლუსია. საქმე გვაქვს კარდინალ რიშელიეს მოღვაწეობისადმი მეცნიერულ მიდგომასთან, რომელიც ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა და ის, უწინარესად, 1918-1921 წლებში საქართველოს რესპუბლიკაში არსებული დემოკრატიული გარემოს ექოდ გაისმა.

შესაძლოა, მათ არ მოსწონდათ კარდინალ რიშელიეს პოლიტიკური მეთოდები, მაგრამ, ვფიქრობთ, კარგად უნდა ჰქონოდათ გაცნობიერებული, რომ ამ მკაცრმა პოლიტიკამ სათანადო ნაყოფი გამოიღო მთავარი, სწორედ, ეს იყო. „მიზანი ამართლებს საშუალებას“. რიშელიეს მიზანი იყო ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცება. ეს კი იმ დროს, უდავოდ, პროგრესული ნაბიჯი იყო და სეპარატიზმთან შედარებით, წინსვლას უწყობდა ხელს. სახელმძღვანელოს ავტორები დიმიტრი უზნაძე და ივანე გველესიანი იზიარებდნენ ისტორიულ-სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულ მოსაზრებას და რიშელიეს პოლიტიკა მისაღებად ესახებოდათ.

მაშ ასე, ინფორმირებულობა, ემპირული, ფაქტობრივი, მასალის, ცოდნა და კარდინალ რიშელიეს ცხოვრების და მოღვაწეობის დადებითი შეფასება, ამ თემაზე დიმიტრი უზნაძის და ივანე გველესიანის მსჯელობის მთავარ ღირსებად მიგვაჩნია. ეს ამ საკითხის ზოგადი მხარეა. ახლა ვნახოთ მისი კონკრეტული მხარე. ვფიქრობთ, ეს საინტერესო უნდა იყოს.

***

სახელმძღვანელოში, რა თქმა უნდა, სათანადო ყურადღება აქვს დათმობილი კარდინალ რიშელიეს ცხოვრების და მოღვაწეობის გაშუქებას. ზოგადადაა მიმოხილული რიშელიეს საშინაო და საგარეო პოლიტიკა, თუმცა ასეთი დაყოფა სახელმძღვანელოში არ გვხვდება. ის ფრანგული მონარქის გაძლიერების ერთ-ერთი კომპონენტია. „ლუდოვიკ XIII და რიშელიე“ (უზნაძე, გველესიანი, 1920: 130-134) ეს საინტერესო მონაკვეთია, რომელსაც, ჩვენი აზრით, დადებითი გაცილებით უფრო მეტი უნდა ჰქონდეს, ვიდრე უარყოფითი. 1610 წლის 14 მაისს გარდაიცვალა საფრანგეთის მეფე ანრი IV (1589-1610). რუსი ისტორიკოსის ტიმოფეი გრანოვსკის თქმით,

„ეს იყო საფრანგეთისათვის უდიდესი უბედურება“. მისი გარდაცვალების შემდეგ ტახტზე ავიდა მისი ვაჟი, ლუი XIII (1610-1643) მცირეწლოვან მეფეს რეგენტად დაუნიშნეს დედა, მარი მედიჩი (Басовская, 2016) ყველაფერი ეს, ცხადია, საინტერესოა და კარდინალ რიშელიეს მოღვაწეობის ისტორიულ ფონად შეიძლება იქნას მოაზრებული. ამ მარტივი, მიამიტური,

მსჯელობის უკან კარგად ჩანს, ისტორიული ფაქტების ცოდნა.

„ჰენრიხ IV-ს შემდეგ მართვა-გამგეობა სუსტი კაცის ხელში გადავიდა. მეფე ლუდოვიკ XIII ჯერ კიდევ მცირეწლოვანი იყო, როგორც ყველგან და ყოველთვის ამ გარემოებით სარგებლობა მოინდომეს იმ პირებმა, ვინც ახალგაზრდა მეფეს გარს ეხვია. სასახლეში ბრძოლა და ინტრიგები დაიწყო. ამ გარემოებამ ისედაც არეული ცხოვრება საფრანგეთის კიდევ უფრო აწეწ-დაწეწა. მდგომარეობის გამოსაბრუნებლად 1614 წელს გენერალური შტატების მოწვევა გადაწყდა, რომელზეც მესამე წოდების, დეპუტატებმა რეფორმების ფართო პროგრამა წარადგინეს, ისინი გადასახადების განაწილებას, პრივილეგიების მოსპობას, კარისკაცებისათვის პენსიების შემცირებას, სასამართლოში დაპატიმრების კანონიერების სავალდებულო შემოწმებას და გენერალური შტატების ათ წელიწადში ერთხელ მოწვევას მოითხოვდნენ, მაგრამ სამღვდელოება და თავადაზნაურობა ამ რეფორმების წინააღმდეგი იყო. იგინი თავის უპირატესობაზე უარს არ ამბობდნენ... მთავრობამ საჩქაროდ დაითხოვა გენერალური შტატები და ამის შემდეგ, ის მხოლოდ 1789 წელს მოიწვიეს“ (უზნაძე, გველესიანი, 1920: 130).

ყურადღებას გავამახვილებთ რამდენიმე გარემოებაზე, რაც, ალბათ, ინტერესს მოკლებული არ იქნებოდა. სახელმძღვანელოს ავტორები დიმიტრი უზნაძე და ივანე გველესიანი კარგად ერკვევიან ლუი XIII მეფობის პირველ წლებში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაში და მას მეტ-ნაკლებად სწორედ გვიხატავენ. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და მათი მსჯელობის პლუსია. როგორც ვხედავთ, აქ არაფერია ნათქვამი მარია მედიჩიზე, რომელიც მცირეწლოვანი მეფის დროს რეგენტი იყო. (Басовская, 2016)

სასურველი იქნებოდა აღნიშნულიყო, რომ 1614 წლის გენერალურ შტატებზე დაწინაურდა კარდინალი რიშელიე, როგორც გვგონია, ეს შინაარსობრივად კიდევ უფრო გაამდიდრებდა ამ მონაკვეთს, რიშელიესადმი მტრულად განწყობილი ტალემან დე რეო გესლიანად შენიშნავდა. „ამაში მაშინ ვერც ვერავინ ერკვეოდა“ (Таллеман де Рео, 1974: 64).

„სახელმწიფო საქმეებში ლუდოვიკ XIII სრულწლოვანების მიღწევის შემდეგაც ძვირად ერეოდა, მართვა-გამგეობა კარდინალ რიშელიეს ჰქონდა მინდობილი. იგი შეუდრეკელი ნების კაცი იყო, რომელმაც მოწინააღმდეგეების შებრალება არ იცოდა. ხალხის ქონებრივ კეთილდღეობას რიშელიე მაინც და მაინც დიდ ყურადღებას არ აქცევდა.

„მუშა ხალხი, რომ ქონებრივად უზრუნველყოფილი შეიქმნას, ის თავის მოვალეობას დაივიწყებსო“. სთქვა ერთხელ რიშელიემ, ამიტომ მას არც გადასახადების მომატება აფიქრებდა და არც გამანადგურებელი ომების წარმოება. რიშელიემ ყველაფერი საფრანგეთის სახელმწიფოს და მონარქიის გაძლიერებას შესწირა“ (უზნაძე, გველესიანი, 1920: 130-131). მართლაც, რიშელიე ყველაზე უფრო მაღლა სახელმწიფოს აყენებდა და ყველაფერი რაც ეწინააღმდეგებოდა მის ინტერესებს ცდილობოდა თავიდან მოეშორებინა (Кареев, 1908: 81). სასურველი ხომ არ იქნებოდა 1607 წლის 17 აპრილს ლიუსონის ეპისკოპოსად რიშელიეს დანიშვნაზე ყურადღების გამახვილება? ამას შემეცნებითი დატვირთვა გააჩნდა. მოწაფეებს დააინტერესებდა და ისტორიისადმი ინტერესს გაუღვიძებდა (Черкасов, 1990: 27, ჩერნიაკი, 1969:

155). აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება და ის პროფ. ვინოგრადოვის სასკოლო სახელმძღვანელოს გამოძახილია.

სახელმძღვანელოს ავტორები დიმიტრი უზნაძე და ივანე გველესიანი რიშელიეს საშინაო პოლიტიკაში საკმაოდ ჩახედულები უნდა ჩანდნენ და ამ საკითხს ყურადღებას უთმობდნენ. ეს, ცხადია, ძალიან კარგია, ისინი ხაზს უსვამენ რიშელიეს მიერ ჰუგენოტთა რესპუბლიკის, სახელმწიფოში სახელმწიფოს ლიკვიდაციას. მათი მთავარი ციტადელის ლა-როშელის აღებას 1628 წლის 28 ოქტომბერს. კარდინალი რიშელიე წერდა „ლაროშელის გათავისუფლებაზეა დამოკიდებული სახელმწიფოს გადარჩენა, საფრანგეთის სიმშვიდე. მეფის კეთილდღეობა და ავტორიტეტი, მომავალ დროში“ (Черкасов, 1990: 181). „საფრანგეთის სამხრეთ ნაწილში რამდენიმე გამაგრებული ქალაქიც ჰქონდა, ხოლო დასავლეთით პირველ ხარისხოვანი ნავთსადგური ლაროშელი ეპყრათ. ისინი მთავრობას არ ენდობოდნენ. მუდამ კავშირი ჰქონდათ ჰოლანდიასთან, ისპანიასა და ინგლისთან და თავისთვის იმგვარ მდგომარეობას იქმნიდნენ, რომელშიდაც ნიდერლანდებისა და ინგლისის პროტესტანტები იყვნენ. მათი თავხედობა იქამდისაც კი მივიდა, რომ მეფის სამხედრო ესკადრა დაიჩემეს, მაშინ რიშელიემ ინგლისელებისაგან და ჰოლანდიელებისაგან გემები იშოვა და დამნაშავეები დასაჯა. მან ჰუგენოტების საბოლოო დამორჩილება განიზრახა და ლაროშელს ალყა შემოარტყა. ზღვიდან ალყის შემოსარტყმელად მთავრობის არმიამ ხელოვნური ყორე გააკეთა. მიუხედავად იმისა, რომ კარლოს I დამხმარე ექსპედიციას უგზავნიდა ლაროშელის მეციხოვნეთ. 14 თვის შეუპოვარი და გმირული თავდაცვის შემდეგ, ეს უკანასკნელნი შიმშილმა აიძულა მთავრობას დანებებოდნენ. სამხრეთელი ჰუგენოტების დამარცხება კიდევ უფრო ადვილი აღმოჩნდა. საქმე ბოლოს იმით გათავდა, რომ ახალი ხელშეკრულების ძალით, რომელიც რიშელიემ ჰუგენოტებთან დასდო იგინი იძულებული შეიქმნენ ყველა თავის პოლიტიკურ უფლებებზე ხელი აეღოთ. რაც შეეხება მათ სარწმუნოებრივ მისწრაფებას. ამ მხრივ რიშელიე უფრო დამთმობი აღმოჩნდა და ჰუგენოტების სარწმუნეობრივი თავისუფლება ხელუხლებელი დატოვა“. (უზნაძე, გველესიანი, 1920: 131-132). რიშელიეს უყვარდა თქმა „მე არ ვყოფ ფრანგებს კათოლიკეებად და პროტესტანტებად. მე მათ გამოვარჩევ მეფისადმი ერთგულებით“.

არისტოკრატიისადმი რიშელიეს დამოკიდებულების გაშუქება სახელ-მძღვანელოს ამ მონაკვეთის კიდევ ერთ დადებით მხარეს წარმოადგენს. არისტოკრატიული ოპოზიციის წინააღმდეგ ბრძოლას არ აღიქვამდნენ, როგორც არისტოკრატიისადმი რიშელიეს სიძულვილის გამოვლინებად.

„რაც შეეხება არისტოკრატიას, მართალია ჰუგენოტებსავით შეკავ-შირებულ ძალას არ წარმოადგენდა, მაგრამ ეს გარემოება მათთან ბრძო-ლის საქმეს კიდევ უფრო ართულებდა. მათი მდგომარეობა ასეთი იყო. პოლიტიკური უფლებები მათ, მართალია, კარგა ხანია აღარ ჰქონდათ... მრავალგვარი შეღავათებით სარგებლობდა. პირად გადასახადს არის-ტოკრატია არ იხდიდა და საადგილმამულო გადასახადშიაც მრავალ_ გვარი შეღავათებით სარგებლობდა. ამასთანავე იგი განაგრძობდა თავისი ქვეშევრდომებისაგან ბეგარის და სხვა ფეოდალური ვალდებულებების

მოხდის მოთხოვნას. ჯარსა და პროვინციებში არისტოკრატია თვითნებობას იჩენდა და ყოველი საშუალებით სარგებლობდა - ოღონდ მთავრობისაგან დამოუკიდებელი გამხდარიყო. ამ მიზნისათვის იგი არაფერს ერიდებოდა... და სამოქალაქო ომის საუკეთესო მასალად გადაიქცა“ (უზნაძე, გველესიანი, 1920: 132). ისინი ხაზს უსვამენ ფეოდალური სეპარატიზმის წინააღმდეგ რიშელიეს ბრძოლის პროგრესულობას. XVII საუკუნის პირველი ნახევარის საფრანგეთის აგრარული ყოფის გაშუქება, ჩვენი აზრით, კორექტივების შეტანას მოითხოვს და ამ ამონარიდის აქილევსის ქუსლად შეიძლება მივიჩნიოთ. ბეგარაზე აპელირება ყურში მოგვხვდა და, ალბათ, ძალიან უხერხული უნდა იყოს. (Блок, 1957).

ლაროშელის აღებასთან ერთად ხაზგასმულია რიშელიეს საშინაო პოლიტიკის სხვა საკვანძო ღონისძიებები. ეს ამ თემაზე უფრო სრულ-ყოფილი, ამომწურავი, წარმოდგენის შექმნაში დაგვეხმარება. პირველ რიგში ყურადღება ექცევა ინტენდანტების ინსტიტუტს. „მან (ე.ი. რი-შელიემ - მ.კ.) გააუქმა გამაგრებული კოშკები აკრძალა დუელები... პროვინციებში მთავრობის კომისრები დანიშნა ფინანსების და პოლიციის სახელმძღვანელოდ და სასამართლოს სათვალყუროდ. უკანასკნელი ზომა განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსი არის, რადგან მთავრობის კომისრები (ინტენდანტი) მესამე წოდებიდან ინიშნებოდა. ყველაფერით დავალებული იყო მეფისგან და განსაკუთრებით მისთვის იყო დაყენებული, რომ შეეზღუდა გუბერნატორი მაგნტის უფლება, რომელიც პროვინციას ისე უყურებდა, როგორც თავის ფეოდალურ სამფლობელოს. ამ საზოგადო ზომების გარდა, რიშელიე მუდამ ებრძოდა შეთქმულებებს, რომელიც ხშირად შეიარაღებულ აჯანყებად იქცეოდა ხოლმე, მოწინააღმდეგეებს შეუბრალებლად სჯიდა და არავითარ ყურადღებას არ აქცევდა დამნაშავის შთამომავლობას ან საზოგადოებრივ მდგომარეობას“ (უზნაძე, გველესიანი, 1920: 132-133).

„ძალაუფლება, უშიშროება, რიშელიეს მთელი საქმიანობა ემყარებოდა მისი საიდუმლო სამსახურს, რომლის ეფექტურობა ვერავინ და ვერასოდეს ვერ გააუმჯობესა. ორი საათიც კი არ იყო გასული, რაც იეზუიტმა თავისი საბრალდებულო სიტყვა წარმოთქვა, მაგრამ მინისტრმა უკვე იცოდა მისი შინაარსი“ დასძენს ფრანგი ისტორიკოსი ფილიპ ერლანჟე (Черкасов, 1990: 323, Erlanger, 1980: 18) გვერდს არ უვლიან დუელების აკრძალვას (უზნაძე, გველესიანი, 1920: 130) რიშელიეს სურდა, რომ არისტოკრატიას თავისი ძალისხმევა დაეხარჯა არა დუელებში, არამედ ქვეყნის ინტერესებისათვის ბრძოლაში. ამ შემთხვევაში რიშელიეს გამტყუნება ძალიან გაძნელდებოდა. ხაზგასმულია სახელმწიფოს ცენტრალიზაციის და უნიფიკაციის პრო-ცესში რიშელიეს წვლილი, მისი პოლიტიკის პროგრესულობა, „რიშელიეს ყოველგვარი ცდა იქითკენ იყო მიმართული, რომ როგორმე ძლიერი ცენტრალისტური მთავრობა შეექმნა. ამ მიზნის განხორციელებისათვის იგი (ე.ი. რიშელიე-მ.კ.) ძველ ჩვეულებებსა და უფლებებს არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. ის ან სრულიად სპობდა ამ ადგილობრივ და-წესებულებებს, რომელიც ცენტრალიზმის განხორციელებას უშლიდა ხელს, ან და საგრძნობლად ზღუდავდა მათ უფლებებს, მაგ., მან გააუქმა შტატები დოფინესა და პროვანსში, ხოლო ზოგიერთი ღირსშესანიშნავი საქმე პროვინციალური სასამართლოებიდან პარიზში დაარსებულ განსა-

კუთრებულ კომისიებში გადაიტანა. მართალია, თავისი თვითნებობით და სიმკაცრით კარდინალმა საზოგადო სიძულვილი დაიმსახურა, მაგრამ მის ხელოვნებას უანგარობას და სიმტკიცეს ყველა გაკვირვებაში მოჰყავდა“ (უზნაძე, გველესიანი, 1920: 139).

ძალიან კარგი იქნებოდა ორიოდე სიტყვის თქმა „გაბრიყვებულთა დღეზე“ ეს მოხდა 1630 წლის 10 ნოემბერს (Черкасов, 1990: 204-221. ჩერნიაკი, 1969: 160-161). ეს დააინტერესებდათ მოსწავლეებს და ისტორიისადმი ინტერესს გაუღვივებდა. სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთს შინაარსობრივად კიდევ უფრო გაამდიდრებდა.

რიშელიეს საგარეო პოლიტიკა, რომელიც არანაკლებ წარმატებული იყო, ვიდრე საშინაო პოლიტიკა გაშუქებული იყო შედარებით უფრო მკრთალად, სუსტად. „იმ დროს, როდესაც მთავრობას სახელმწიფოს ფარგლებშივე გააფთრებული ბრძოლის წარმოება უხდებოდა, რიშელიემ ოცდაათწლიან ომში ჩარევით საფრანგეთს მთელს ევროპაში პირველობა მოუპოვა. მაგრამ მისი შორსმჭვრეტი პოლიტიკა სისრულით მხოლოდ ლუდოვიკ XIV-ს დროს გამომჟღავნდა“. (უზნაძე, გველესიანი, 1920: 133-134). ისინი იზიარებდნენ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას და რიშელიეს საგარეო პოლიტიკას დადებითად ეკიდებიან. ეს გახლავთ სულ ის რასაც დიმიტრი უზნაძის და ივანე გველესიანის სახელმძღვანელოში რიშელიეს საგარეო პოლიტიკაზე ამოვიკითხავთ. რა თქმა უნდა, ეს ძალიან ცოტაა და საკმარისი არ უნდა იყოს. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს ფაქტის კონსტატაციასთან, რაც აღნიშნული საკითხის იგნორირების ტოლფასად მიგვაჩნია.

თავდაპირველად საფრანგეთი ოცდაათწლიან ომში არ იყო ჩაბმული და თავის ფინანსებს ეყრდნობოდა. ფრანგმა ისტორიკოსმა ფილიპ ერლანჟემ მას „პისტოლის დიპლომატია“ უწოდა (Erlanger, 1980). არსებითად იცვლება ვითარება 1635 წლის შემდეგ, როდესაც საფრანგეთი უშუალოდ ჩაება ომში. რიშელიემ სწორედ განჭვრიტა, რომ „აშკარაა თუ პროტენსტანტთა პარტია განადგურებული იქნება. ავსტრიის სახლის მთელი ძალა მიმართული იქნება საფრანგეთის წინააღმდეგ“ (Черкасов, 1990: 280). ამიტომ რიშელიემ გადაწყვიტა რომ მეტი დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. 1635 წლის 19 მაისს საფრანგეთი უშუალოდ ჩაება ომში. ფრანგული განმანათლებლობის პატრიარქი ვოლტერი, რომელიც რიშელიეს უაღრესად უარყოფითად ახასიათებდა ფიქრობდა, რომ საფრანგეთის ომში ჩაბმა რიშელიეს პირადი სურვილი იყო. სინამდვილეში ეს ასე არ ყოფილა. რიშელიემ ძალიან კარგად შეარჩია ომში ჩაბმის მომენტი. XVIII საუკუნის ინგლისელმა პოლიტიკოსმა და ისტორიკოსმა ჰენრი ბოლინგბროკმა შენიშნა. „საფრანგეთი მაშინ ჩაება ომის მსვლელობაში, როდესაც დასვენებული იყო, ხოლო მეომარი მხარები ხანგრძლივი ომისგან დაღლილები იყვნენ. ამიტომ რიშელიეს შეეძლო თავისი ნება სურვილი ეკარნახა არა მარტო მტრებისათვის, არამედ მოკავშირეებისათვის“ (Болингброк, 1978: 88).

1642 წლის 4 დეკემბერს, პლევრიტით, 58 წლის ასაკში კარდინალი რიშელიე გარდაიცვალა, როდესაც მოძღვარმა სარეცელზე მწოლ რიშელიეს კითხა, რას შეუნდობდა თავის მტრებს, ასეთი პასუხი მოისმინა „მე პირადი მტრები არ მყავდა, ჩემი მტრები საფრანგეთის მტრები იყვნენ“ (Тьерри, 1937: 144).

და ბოლოს, ალბათ, ინტერესს მოკლებული არ იქნება შევჩერდეთ ლუი XIII (1610-1643) პიროვნებისადმი, დამოკიდებულებაზე. ბუნებრივია, რომ მას სახელმძღვანელოში სათანადო ადგილი აქვს დათმობილი და ავტორები დიმიტრი უზნაძე და ივანე გველესიანი ლუი XIII მმართველობას ეხებიან და ძირითადად განიხილავენ კარდინალ რიშელიეს მოღვაწეობის ფონზე. მეფე თავისი ყოვლისშემძლე მინისტრის ჩრდილში აღმოჩნდა. სახელმძღვანელოს ავტორები დიმიტრი უზნაძე დ ივანე გველესიანი ლუი XIII პიროვნებაზე ძალიან დაბალი აზრის უნდა ჩანდნენ და მის სახელს მხოლოდ უარყოფით კონტექსტში იხსენიებდნენ. ამგვარი მიდგომა, ცხადია, შემთხვევითი არაა და XX საუკუნის დასაწყისის ისტორიოგრაფიის, ექოდ გაისმა. „ჰენრიხ IV-ის შემდეგ მმართველობა სუსტი კაცის ხელში გადავიდა, მეფე ლუდოვიკ XIII ჯერ კიდევ მცირეწლოვანი იყო. როგორც ყველგან და ყოველთვის, ამ გარემოებით სარგებლობა მოინდომეს იმ პირებმა, ვინც ახალგაზრდა მეფეს გარს ერტყა (უზნაძე, გველესიანი, 1920: 130). ცოტა უფრო ქვემოთ ვკითხულობთ „სახელმწიფო საქმეებში ლუდოვიკ XIII სრულწლოვანების მიღწევის შემდეგაც ძვირად ერეოდა. მართვა-გამგეობა კარდინალ რიშელიეს ჰქონდა მინდობილი“ (უზნაძე, გველესიანი, 1920: 130). ლუი XIII პიროვნებაზე ჯერ კიდევ თანამედროვეები იყვნენ დაბალი აზრის (Таллеман де Рео, 1974: 112-127) ფრანგული რომანტიზმის კორეფეების ალექსანდრე დიუმას, ვიქტორ ჰიუგოს, ალფრედ დე ვინის, ძალისხმევით ლუი XIII პიროვნებისადმი ნეგატიურმა დამოკიდებულებამ ფართოდ მოიკიდა ფეხი XIX-XX საუკუნეების ისტორიოგრაფიაში. მისი ექო გაისმა ქართულ ისტორიოგრაფიაში (აგიბალოვა, დონსკოი, 1989, შუა საუკუნეების, 1949: 394-395, ტივაძე, 1970: 365-369).

ფრანგმა ისტორიკოსმა ჟან ბატიფოლმა და ამერიკელმა ისტორიკოსმა ორესტ რენუმომ დამაჯერებლად ცხადყვეს, რომ ლუი XIII სულაც არ იყო უნებისყოფო უნიათო, მარიონატი მეფე, როგორც ამას დიდი ხნის მანძილზე გვიხატავდნენ (Албина, 1972). აღსანიშნავია, რომ უახლოეს ისტორიოგრაფიაში ლუი XIII პიროვნება სულ უფრო მეტად გამოდის წინა პლანზე. (Крамер, 1997: 117-137) ლუი XIII პოლიტიკა იყო რიშელიეს პოლიტიკა და რიშელიეს პოლიტიკა იყო ლუი XIII პოლიტიკა. მათ ურთიერთობაში დომინანტი არ არსებობდა. მათ ურთიერთობას, როგორც ამერიკელი ისტორიკოსი ორესტ რენუმო აღნიშნავს, საფუძვლად ედო ურთიერთპატივისცემა. ლუი XIII არ იყო ინდიფერენტული მონარქი. ის აქტიურ მონაწილეობას იღებდა სახელმწიფოს მმართვაში.

ლუი XIII ყველაზე უფრო დადებითად, სწორედ, რიშელიეს გვერდით დგომა, მხარდაჭერა, ახასიათებს. ეს არ თავსდება უნებისყოფო, მარიონეტი, მეფის, ხასიათში. ასეთი მეფე რიშელიეს დაუყოვნებლივ მოიშორებდა თავიდან. ლუი XIII კი ასე არ მოიქცა. რა თქმა უნდა, ლუი XIII არ იყო დიდი პოლიტიკოსი, მაგრამ ის არც მეფე მარიონეტი არ ყოფილა, როგორც მას გვიხატავდნენ ფრანგული რომანტიზმის კორიფეები, ალექსანდრე დიუმა, ვიქტორ ჰიუგო, ალფრედ დე ვინი. თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს შეუსაბამობა გასწორებული იქნა (ანთაძე, კალანდაძე, 2005, ანთაძე, მამუკელაშვილი, 2005).

გასაბჭოებამდე ქართული ისტორიოგრაფია ლუი XIII და რიშელიეს მოღვაწეობას, სავსებით სამართლიანად მიუჩენს ადგილს ახალ ისტორიაში. ეს არცაა გასაკვირი და სავსებით შეესატყვისებოდა საერთაშორისო სტანდარტებს. შემდგომში საბჭოთა ისტორიოგრაფია ლუი XIII და რიშელიეს მოღვაწეობას შუა საუკუნეების ისტორიაში მოიაზრებდა. ასეთი იყო სტალინური პერიოდიზაცია. ის კარგად გამოხატავდა ერთი ისტორიული სკოლის მოთხოვნებს (აგიბალოვა, დონსკოი, 1989, შუა საუკუნეების, 1949, ტივაძე, 1970). უახლოესმა ქართულმა ისტორიოგრაფიამ ეს შეუსაბამობაც გაასწორა (ანთაძე, კალანდაძე, 2005, ანთაძე, მამუკელაშვილი, 2005).

ჩვენი აზრით, თარიღებისადმი დამოკიდებულება დიმიტრი უზნაძის და ივანე გველესიანის სასკოლო სახელმძღვანელოში ცოტა უცნაურად შეიძლება მივიჩნიოთ. სასკოლო სახელმძღვანელოს თარიღებით გადატვირთვა მიზანშეწონილი არ იქნებოდა და ამაში სახელმძღვანელოს ავტორები დიმიტრი უზნაძე და ივანე გველესიანი ცამდის მართალი არიან, მაგრამ ისინი სულ სხვა უკიდურესობაში აღმოაჩდნენ, სასურველი იქნებოდა სახელმძღვანელოში თარიღების მითითება. საუბარია ისტორიულ მოვლენებზე, მაგრამ თარიღი მითითებული არაა, ჩვენი აზრით, ეს სწორი არ უნდა იყოს. სასურველი იქნებოდა მითითებული ყოფილიყო ლუი XIII (1610-1643) ზეობის ხანა. კარდინალ რიშელიეს მინისტრობის პერიოდი (1624-1642). ამას შემეცნებითი დატვირთვა გააჩნდა და მოსწავლეებს დაეხმარებოდა ცოდნის გაღრმავებაში. ეს პატარა საქმე არ იყო.

აუცილებლად უნდა შევეხოთ კიდევ ერთ აქტუალურ საკითხს. სახელმძღვანელოები წარმოადგენს ახალი ისტორიის ქართული ტერმინოლოგიის შექმნის გზაზე გადადგმულ პირველ ნაბიჯს. ეს საყურადღებოა და საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ ერთი საინტერესო დასკვნა, რომელიც დაგვეხმარება ამ საკითხზე ადეკვატური წარმოდგენის შექმნის საქმეში. ირკვევა, რომ ამ მიმართულებით ქართულმა ისტორიოგრაფიამ პირველი ნაბიჯები გადადგა არა საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, როგორც ამას საბჭოთა წლებში გვიმტკიცებდნენ, არამედ გაცილებით უფრო ადრე, ჯერ კიდევ 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. იმ პერიოდში გამოსული მსოფლიო ისტორიის, მათ შორის, ცხადია, ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. როგორც პირველი მცდელობა, ბუნებრივია, ის უნაკლო ვერ იქნებოდა. მარტივად შესამჩნევია, რომ ისინი საფრანგეთის მეფეების სახელს წერენ რუსულის გავლენით. არა ანრი IV, არამედ ჰენრიხ IV, არა ლუი XIII, არამედ ლუდოვიკ XIII, აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება და ეს პირველ რიგში, რუსი ისტორიკოს პაველ ვინოგრადოვის „ახალი ისტორიის“ სასკოლო სახელმძღვანელოს გამოძახილია (Виноградов, 1913).

დასარულს უნდა შევეხოთ კიდევ ერთ საკითხს, რომელიც ისტორიის სწავლების მეთოდიკის სფეროს განეკუთვნება. სასურველი იქნებოდა სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთს დართული ჰქონოდა კითხვები. ამას აქვს მნიშვნელობა და საშუალებას მისცემს მასწავლებელს გამოარკვიოს, თუ როგორ აითვისეს მოსწავლეებმა ახალი მასალა და დაისწავლეს გაკვეთილი.

ამგვარი დამოკიდებულება, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა და მასში ისტორიის სწავლების მეთოდიკის განვითარების გარიჟრაჟზე შექმნილი ვითარების გამოძახილს ვხედავთ.

დასკვნა

ამრიგად, საქმე გვაქვს საქართველოში კარდინალ რიშელიეს მოღ- ვაწეობის გაშუქების პირველ თუ არა ერთ-ერთ პირველ შემთხვევასთან, რომელიც, როგორც პირველი მცდელობა, ბუნებრივია, უნაკლო ვერ იქნებოდა, მაგრამ, ჩვენი აზრით, დადებითი გაცილებით უფრო ბევრია, ვიდრე უარყოფითი. სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთის მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს. მისი შეუფასებლობა მიზანშეწონილი არ იქნებოდა. რიშელიეს მოღვაწეობის დადებითი შეფასება და ინფორმირებულობა, ემპირულ, ფაქტობრივ, მასალაში ჩახედულობა, ამ თემაზე მათი მსჯელობის მთავარ ღირსებად მიგვაჩნია. ზოგიერთი საკითხის შემდგომი, დახვეწა, ჩვენი აზრით, გამორიცხული არ უნდა იყოს. უწინარესად, ასეთად მიგვაჩნია სახელმძღვანელოში რიშელიეს საგარეო პოლიტიკის გაშუქება. მან გარკვეული უკმარობის გრძნობა დაგვიტოვა და შესიტყვების სურვილი გაგვიჩინა. სასურველი იქნებოდა ამ მონაკვეთის შინაარსობრივად კიდევ უფრო გამდიდრება. ამ თემას ცოტა მეტი ყურადღება შეიძლება მიქცეოდა და მეტი ადგილი დათმობოდა. ეს მოსწავლეების ინტერესს გამოიწვევდა. საფრანგეთის მეფის ლუი XIII მმართველობისადმი სახელმძღვალოს ავტორების ინდიფერენტული დამოკიდებულება დღეს, ცხადია, მოძველებულია, ყავლი გაუვიდა და ისტორიის განვლილ ეტაპს წარმოადგენს.

სახელმძღვანელოს ავტორები დიმიტრი უზნაძე და ივანე გველესიანი რიშელიეს მომხრე ისტორიკოსთა რიგებს უნდა მივაკუთვნოთ. ასე გვესახება დიმიტრი უზნაძის და ივანე გველესიანის ახალი ისტორიის ამ მონაკვეთის სასკოლო სახელმძღვანელოს შუქ-ჩრდილები.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

agibalova, e. donskoi, gr. (1989). *shua saukuneebis istoria.* VI klsis sakhelmdzgvanelo. tbilisi. (აგიბალოვა, ე. დონსკოი, გრ. 1989). *შუა საუკუნეების ისტორია.* VI კლასის სახელმძღვანელო. თბილისი.

antadze, k. kalandadze, m. (2005). *safrangetis istoria, kultura, geografia.* tbilisi. (ანთაძე, კ. კალანდაძე, მ. (2005). *საფრანგეთის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია.* თბილისი).

antadze, k. mamukelashvili, n. (2005). *akhali istoria* VIII klasis sakhelmdzgvanelo. tb. ანთაძე, კ. მამუკელაშვილი, ნ. (2005). *ახალი ისტორია*, VIII კლასის სახელმძღვანელო. თბილისი).

tivadze, g. (1970). shua saukuneebis istoria, natsili 2. tbilisi. (ტივაძე, გ. (1970). შუა საუკუნეების ისტორია, ნაწილი 2. თბილისი).

uznadze, d. gvelesiani, i (1920). akhali istoria XV-XVII (ss.). tbilisi. უზნაძე, დ. გველესიანი, ი. (1920). ახალი ისტორია XV-XVII (სს). თბილისი).

shua saukuneebis istoria, (1949). s. skazkinis da o. vainshnatinis redaqciit. tbili-

si, (1949) შუა საუკუნეების ისტორია, (1949) ს. სკაზკინისა და ო. ვაინშტაინის რედაქციით, ნაწ. 2, თბილისი).

cherniaki, e (1969). khutastsialini paruli omi. tbilisi, (ჩერნიაკი, (1969). ხუთასწლიანი ფარული ომი. თბილისი).

Erlanger, F. (1980). *Richelieu*. Paris.

Basovskaia, N. (2016). Koroleva Francii, Maria Medichi. Zatervshaia sredi zvezd.M. Басовская, Н. (2016). Королева Франции. Мария Медичи. затеравшая среди звезд.

Bloki, M (1957). Kharakterinie cherti francuzkoi agrarnoi istorii. (Блок М (1957). Характерные черты французской аграрной истории.

Bolingbrok, G (1978). pisma ob izuchenii i polze istorii, M. (Болингброк Г (1978). Письма об изучении и пользе истории, М).

Borisov, Iu (2002). Diplomatia Ludoviko XIV. M. (Борисов, Ю. (2002). Дипломатия Людовико XIV. М).

Vinogradov, P, (1913). *Uchebnik vseobshei istorii,* chast 3, novaia istoria, Spb. (Виноградов, П (1913). *Учебник всеобщей истории*, часть 3. новая история, Спб).

Ganoto, G, (1903). Francia pered Rishelie Spb. (Ганото, Г (1903). Франция перед Ришелье, Спб).

Ivonina, L (2007). Mazarini. M. (Ивонина, Л. (2007). Мазарини, М).

Kareev, N. Zapadno-Evropeiskaia absolutnaia monarkhia XVI, XVII, XVIII VV. Spb, (Кареев, (1908). Западно-Европеиская абсалютная Монархия XVI, XVII, XVIII Вв, Спб).

Kramer, A. Ludovik XIII. *Frantsuzkie monarkhi i imperatori*. Rostov na Donu. (Крамер, А. (1997) Людовик XIII. *Французские монархи и императоры*), Р/Д.

Laroshfuko (1971). Memuari, Maskimi, M, (Ларошфуко, (1971). Мемуары. Максимы.Мю

Liublinskaia, A. (1946). Rishelie в istoricheskoi literature. *voprosi istorii*. 10. (Люблинская, (1946). Ришелье в исторической литературе, *вопросы истории*, 10).

Liublinskaia, A. (1982). Francia pri Rishelie. Frantsuski absolutizm V. 1630-1642 Gg. M Люблинская, А. (1982). Франция При Ришелье. Французски абсолютизм В. 1630-1642Гг. М).

memuari (1995). memuari messira d' artaniana, (1995). T. 1.M. Мемуары,Мемуары мессира Д'Артаньяна, (1995) Т. 1. М).

Porshnev, b. (1948). Narodnie vosstanija vo Francii pered frondoi (1623-1648). M. (Поршнев, Б. (1948). Народные восстания во Франции перед фрондой (1623-1648), М).

Pancov, B. (1893). Rishelie, ego zhizn i politicheskaia deiatelnost, M, (Ранцов, В. (1893). Ришелье, его жизнь и политическая деятельность, М).

Talerman de Reo (1974). Zanimatelnie istorii, M. (Таллеман де Рео, (1974). Занимательние истории, М).

Tieri, O. (1937). Izbrannie trudi. M.(Тьерри, О. (1937). Избранные труды. М). Cherkasov, P. (1990). Kardinal Rishelie. M. (Черкасов, П. (1990). Кардинал Ришелье.